არქიტექტურულ-ისტორიული კვლევა

ბუხაიძის ქ. №54



თბილისი
2018, აგვისტო

საკვლევი ტერიტორია – ბუხაიძის ქ. №54, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონს, ისტორიულად – ჩუღურეთს განეკუთვნება. სახელწოდება „ჩუღურეთ“-ს პირველად ვხდებით ვახუშტის თბილისის 1735 წ. გეგმაზე. იგი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და თავად ისტორიულ თბილისს ემიჯნება ჩრდილოეთიდან. სიტყვა „ჩუღური“ ორმოს, ფოსოს, ხრამს, დაბლობს – ნიშნავს (ამ სიტყვას ხმარობენ კახეთის სოფლებში ღრმა ადგილის აღსანიშნავად), გეგმის მიხედვით ჩუღურეთს სამივე მხრიდან ბუნებრივი საზღვარი – ხევები და მტკვარი საზღვრავს.



1898 წ. ქალაქის გეგმაზე მოცემული უბანი თბილისის VII ავლაბრის პოლიციურ უბანს ეკუთვნოდა. «Покровский» აღმართის ბოლოს აღნიშნულია სამხედრო ყაზარმები. ამ დროს მუხრანის ხიდი ჯერ არ არსებობს. ჩვენი საკვლევი ობიექტი ბუხაიძის ქუჩაზე მდებარეობს.



ამჟამად საკვლევი ტერიტორია ისტორიული ქალაქის დაცვითი ზონის განაპირას მდებარეობს.

XX საუკუნის დასაწყისის საარქივო ფოტომასალაზე გარკვევით ჩანს, რომ ეს ადგილები გაუნაშენიანებელი იყო. ძველი ქალაქის ქუჩათა სისტემა სწორედ აქ



სრულდებოდა რკინიგზის გასწვრივი ზოლით, ხოლო კონკრეტულად ბუხაიძის ქუჩა რკინიგზის ხაზის გასწვრივ მდებარეობს და ჩუღურეთის ცენტრალურ ნაწილს სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიასთან აკავშირებს.



სახელოვნებათმცოდნეო სტილისტური ანალიზითა შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდის სახლები აქ თითქმის აღარ არსებობს, ან

ძლიერ არის სახეცვლილი. მიკროუბანში არსებული ურბანული ძეგლის სტატუსის მქონე ნაგებობა იშვიათია და უმეტესობა XIX ს. მიწურულს განეკუთვნება. ანუ იმ პერიოდს, როდესაც ხელისუფლებამ დაიწყო ქალაქის მოწყობა ახლებურ ყაიდაზე და სამშენებლო საქმეთა კომისიას მთავარმმართებლის ბრძანებით ჩუღურეთის, კუკიას, ავლაბრის გადაგეგმვა დაევალა.

ბუხაიძის ქუჩის ამ მონაკვეთში განსაკუთრებით ღირებული ისტორიული განაშენიანება არ არსებობს, თუმცა, რამდენიმე ორსართულიანი სახლი, რომელიც მიკროუბანში დგას მიუხედავად შელახულობისა, მთლიანობაში ინარჩუნებს ისტორიული ქალაქის საცხოვრებლის სახასიათო ნიშნებს: აგურითა და პროფილირებული ნალესობით გაფორმებული ფასადები, ხის შუშაბანდები, თუნუქის გადახურვა და სხვ.





ბუხაიძის ქ. №54 მაღალი, ერთსართულიანი ნაგებობაა ნახევარსარდაფით, რომლის ქუჩისკენ მიმართული ფასადი სადად არის გადაწყვეტილი ისევე, როგორც ამ უბანში ფიქსირებული ისტორიული სახლების უმეტესობა – მაღალი პარაპეტით სრულდება და ერთგვაროვანი ფანჯრების რიტმითაა დანაწევრებული.




სახლის გადახურვაც ორქანობა ფორმისაა, რაც ტრადიციულია ამ მიკროუბნისთვის. ფასადის მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები თითქმის

მთლიანად დაფარულია ნალესობის სქელი ფენით. კიდევ მეტად უსახურია სახლის იერსახე ეზოს ნაწილში, სადაც ძველი შუშაბანდების კვალი აღარ ჩანს.



ბუხაიძის ქუჩის ისტორიულ ქსოვილში უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა ახალმშენებლობებმა. უმეტესობა მათგანი სამების ტაძრის დომინანტისა და ისტორიული ქუჩის განაშენიანების მიხედვით ორ, მაქსიმუმ სამსართულიანია.



მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობას არ გააჩნია ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მნიშვნელოვანია მისი ურბანული თავისებურების – ქუჩის პირზე მდებარე მაღალი პარაპეტიანი ნაწილის აღქმა ბუხაიძის ქუჩის შორ ხედზე, რომელიც სამების ტაძრისკენ იხსნება.



დასკვნა-რეკომენდაცია

ბუხაიძის ქ. 54 ისტორიული განაშენიანების ნაწილია, თუმცა ნაგებობას არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და არ წარმოადგენს არქიტექტურულად ღირებულ ობიექტს. შესაბამისად, მისი ჩანაცვლება ახალი ნაგებობით შესაძლებლად მიმაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ახალ არქიტექტურულ გადაწყვეტაში სასურველია არსებული ობიექტის გაბარიტის და იერსახის გათვალისწინება, კერძოდ, ნაგებობის ქვედა სართული (სართულები) სასურველია კვლავ ერთგვაროვანი, ნალესი ან ქვით მოპირკეთებული გლუვი ფაქტურით გადაწყდეს, რომელზედაც გამოკვეთილი იქნება ფასადის ფენესტრაცია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ელემენტებით. ასევე მნიშვნელოვანია მაღალი პარაპეტის ელემენტის შენარჩუნება;
- ზედა სართულის (სართულების) ნაწილი უნდა განთავსდეს პარაპეტიდან შეწევით ისე, რომ ქუჩის პერსპექტივაში კვლავ აქტიურად წაიკითხოს მხოლოდ ქვედა ნაწილი;
- ზედა სართულის (სართულების) იერსახე სასურველია იყოს მსუბუქი, ისეთი თანამედროვე მასალებით შეფუთული, რომლებიც მისადაგებულია ისტორიული უბნის განაშენიანების ფაქტურებთან;
- დიდი ზომის შემინული ზედაპირების გამოყენება ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად არ მიმაჩნია;
- ეზოს მხრიდან ნაგებობის ფასადი სასურველია გადაწყდეს ძველი უბნებისთვის დამახასიათებელი აივნებისა და შუშაბანდების მსგავსად, რაც ორგანულად ჩაეწერება ამ უბნის აღქმაში შორი ხედებიდან;
- ნაგებობის გადახურვა ნაწილობრივ მაინც უნდა დარჩეს ორქანობა და გადაიხუროს ტრადიციული ფერის თუნუქის სახურავით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი